საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, აწარმოებდა ნავთობპროდუქტებს (ნავთი, მაზუთი, ბენზინი, ზეთები).

ნავთობის ნედლეულს ღებულობდა უცხოეთიდან. ქ-ნის მშენებლობა დაიწყო 1927 წ. 10 ივნისს, პირველი რიგი საექსპლუატაციოდ გადაეცა 1929 წ. 29 მაისს. ბ. ნ. ქ. უმსხვილესი უწყვეტი ციკლის საწარმო იყო. ქ-ნის არსებობის განმავლობაში ბათუმში გაჩნდა მენავთობეთა ათიათასკაციანი დასახლება. საწარმოს ფუნქციონირება XX-ს 70-იანი წლებიდან პრობლემური გახდა, უპირველეს ყოვლისა გარემოზე ზემოქმედების გამო. ქ-ნა მოქცეულია ბათუმის საკურორტო ზონაში. მიუხედავად იმისა, რომ ქ-ნაში 1965–70 წწ., რეკონსტრუქციის დროს, დაიდგა ახ. ტექნოლ. მოწყობილობანი, გამწმენდი დანადგარები, ეკოლოგიური თვალსაზრისით ქ-ნა მაინც ვერ აკმაყოფილებდა საჭირო მოთხოვნებს. დღის წესრიგში დადგა ქ-ნის რეკონსტრუქციის ეკოლოგიურად სრულყოფილი პროექტის შედგენა, რაც ვერ განხორციელდა.

საქართვ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც ვერ გამოსწორდა მდგომარეობა. განხორციელდა საწარმოს პრივატიზება. მისი მფლობელი გახდა კომპანია „გრინოუკი“, რ-ისგანაც ის 2006 შეიძინა კომპანია „ყაზმუნაი გაზმა“ ახ. ნავთობგადასამუშავებელი ქ-ნის აშენების პირობით რაც არ განხორციელდა, საბოოლოდ, ქ-ნის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა აჭარის არ. 2000-იდან საწარმოო ჩამოყალიბდა როგორც შპს „ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“. 2020 მდგომარეობით

ქ-ნის საქმიანობა ძირითად ნათელი ნავთობპროდუქტების მიღება-გადატვირთვის ოპერაციებითა და მის ბალანსზე რიცხული ქონების იჯარით გაცემით შემოისაზღვრება. საწარმო წამგებიანია. არსებულ ტერიტორიაზე თანამედროვე, ეკოლოგიურად უსაფრთხო ქ-ნის არსებობას უდიდესი როლის შესრულება შეუძლია ბათუმის ეკონ. განვითარებასა და საქართვ. საექსპორტო პოტენციალის გაზრდაში. ალტერნატიული ვარიანტი გულისხმობს ქ-ნის სრულ გაუქმებას, ან გატანას საკურორტო ზონიდან.

მ. ჯიბუტი